ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

მიზნობრივი სამეცნიერო - კვლევითი პროექტების განხილვის, დამტკიცების და მასში მონაწილეობის წესი

დამტკიცებული:

სენატის სხდომის ოქმი N2.

თარიღი: 28.01.2025 წ.

დადგენილება N33.

ცვლილება:

სენატის სხდომის ოქმი N6.

თარიღი: 05.09.2025 წ.

დადგენილება N63.

მუხლი 1. მოქმედების სფერო

1.1. წესის მიზანია „ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის“ (შემდგომში „უნივერსიტეტი“) მიერ სამეცნიერო - კვლევითი მუშაობის განვითარების, კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლების, სამეცნიერო - კვლევითი და სასწავლო პროცესების ინტეგრაციისა და ინტერნაციონალიზაციის, სამეცნიერო კვლევებისადმი მოტივაციის და მათში სტუდენტთა აქტიური ჩართვის გაზრდის, აგრეთვე მათი კომერციალიზაციის ამაღლების მიზნით სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის განხორციელება;

1.2. წინამდებარე წესი განსაზღვრავს უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო - კვლევითი პროექტების კონკურსის ჩატარების წესს და პირობებს ასევე, პროექტის დაფინანსების წესებს.

მუხლი 2. სამეცნიერო - კვლევითი პროექტის დაფინანსების მიზანი და პრინციპები

2.1. უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო - კვლევითი პროექტის დაფინანსების მიზანია ხელი შეუწყოს სტუდენტებს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს სამეცნიერო პოტენციალის განვითარებაში;

2.2. უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო - კვლევითი პროექტის დაფინანსების მიზანია უზრუნველყოს კვლევის შედეგად შექმნილი ცოდნის გაზიარება საუნივერსიტეტო საზოგადოებაში, როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო დონეზე;

2.3. უნივერსიტეტში სამეცნიერო - კვლევითი პროექტის დაფინანსება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: საჯაროობა, სამართლიანობა, თანასწორობა.

საჯაროობა - სამეცნიერო - კვლევითი პროექტის დაფინანსების მიზნით, უნივერსიტეტი დეტალურ ინფორმაციას და პირობებს აქვეყნებს საჯაროდ, უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ - გვერდზე https://www.neu.edu.ge/.

სამართლიანობა - სამეცნიერო - კვლევითი პროექტის დაფინანსების წესი და კრიტერიუმები წინასწარ არის განსაზღვრული შესაბამისი დოკუმენტით, რომელიც საჯაროა და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის;

თანასწორობა - სამეცნიერო - კვლევითი პროექტის დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება თანასწორობის პრინციპის საფუძველზე. დაუშვებელია გადაწყვეტილების მიღებისას ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია.

მუხლი 3. კონკურსის თემატიკა და ბიუჯეტი

3.1. სამეცნიერო - კვლევითი ცენტრი უნივერსიტეტში მოქმედი სკოლების საბჭოსთან შეთანხმებით განსაზღვრავს მიზნობრივი სამეცნიერო - კვლევითი პროექტის/პროექტების თემატიკას;

3.2. სამეცნიერო - კვლევითი პროექტის თემატიკა შეირჩევა თემის აქტუალობიდან გამომდინარე. თემის აქტუალურობის შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტში მოქმედი სკოლების საბჭოს მიერ;

3.3. მიზნობრივი სამეცნიერო - კვლევის ფინანსური უზრუნველყოფისათვის უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გამოიყოფა თანხა;

3.4. სამეცნიერო კვლევითი ცენტრი ფინანსური უზრუნველყოფისათვის უნივერსიტეტის ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურს წარუდგენს ხარჯთაღრიცხვას, რომელიც პროექტის განმახორციელებლებს ჩაერიცხებათ ტრანშებად, შემდეგი რიგითობით - პირველი ტრანში 60% (ფინანსური და პროგრამული ანგარიშის წარდგენისა და დადებითი შეფასების საფუძველზე), ხოლო მეორე ტრანში - 40% (პროექტის წარმატებით დასრულების შემდგომ);

3.5. განსახორციელებელი სამეცნიერო - კვლევითი პროექტის ბიუჯეტი და შესაბამისად, დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება არაუმეტეს 3000 (სამი ათასი) ლარით.

3.6. სამეცნიერო - კვლევითი პროექტის ხანგრძლივობა განისაზღვრება კვლევითი პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე - არაუმეტეს 2 (ორი) წლისა;

3.7. პროექტის დასრულებიდან 1 (თვის) თვის განმავლობაში პროექტის შემსრულებელმა ჯგუფმა უნდა უზრუნველყოს იმის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენა, რომ ამ პროექტის ფარგლებში შესრულებული სამუშაო განხორციელდა. კერძოდ: დაიბეჭდა ნაშრომი ან ჩაშვებულია დასაბეჭდად. დაიბეჭდა სახელმძღვანელოს სახით ან ჩაშვებულია დასაბეჭდად. შედეგების ინტეგრირება მოხდა სასწავლო პროცესში და ა. შ.

მუხლი 4. სამეცნიერო - კვლევითი პროექტის/პროექტების განხორციელების პროცედურები

4.1. სამეცნიერო კვლევითი ცენტრი 2 (ორი) წელიწადში ერთხელ უნივერსიტეტში მოქმედი სკოლების ფარგლებში აცხადებს სამეცნიერო კვლევითი პროექტების კონკურსს და დასამტკიცებლად წარუდგენს რექტორს;

4.2. უნივერსიტეტის რექტორი სამართლებრივი აქტით (ბრძანებით), განსაზღვრავს სამეცნიერო კვლევის პრიორიტეტულ მიმართულებებს, მონაწილეობის უფლების მქონე სუბიექტებს, წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხასა და ვადებს, საგრანტო კონკურსისათვის განსაზღვრულ მინიმალურ, მაქსიმალურ ან ჯამურ ბიუჯეტს, საგრანტო პროექტის ხანგრძლივობას, საგრანტო პროექტის შეფასების წესსა და კრიტერიუმებს. საჭიროების შემთხვევაში განსაზღვრავს დამატებით პირობებს;

4.3. აცხადებს კონკურსს და განსაზღვრავს საკონკურსო საბუთების მიღების ვადებს, ასევე განსაზღვრავს საკონკურსო საბუთების მიღებაზე პასუხისმგებელ პირებს, კომისიის შემადგენლობას;

4.4. განმცხადებელი ვალდებულია საბუთების მიმღებ კომისიას წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა. განცხადება (დანართი 1);

ბ. სამეცნიერო კვლევითი პროექტის აღწერილობა;

გ. კვლევითი პროექტის ხარჯთაღრიცხვა;

დ. პროექტში მონაწილეთა CV;

ე. პროექტში მონაწილე სტუდენტთა ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ და სასწავლო ბარათი;

ვ. სტუდენტთა წერილობითი თანხმობა პროექტში მონაწილეობის შესახებ (დანართი 2).

4.5. კონკურსში მონაწილეობის შესახებ ვადის დარღვევით წარმოდგენილი განცხადება მიღებას არ ექვემდებარება;

4.6. ამ მუხლის მეოთხე პუნქტით განსაზღვრული სავალდებულო დოკუმენტაციის არასრულყოფილად/ხარვეზით წარმოდგენის შემთხვევაში საბუთების მიმღები კომისია ახორციელებს განაცხადის მიღებას და აცნობებს უფლებამოსილ პირს ხარვეზის შესახებ, რომელიც ექვემდებარება გამოსწორებას არაუმეტეს საკონკურსო განაცხადების მიღების ვადის ამოწურვიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში წარდგენილი განაცხადი არ განიხილება;

4.7. საკონკურსო განაცხადების მიღების დასრულების შემდგომ საბუთების მიმღები კომისია გადასცემს მიღებულ საბუთებს შესაბამის კომისიას.

მუხლი 5. კონკურსში მონაწილეობა

5.1. პროექტში მონაწილეობის უფლება აქვთ სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს და სკოლის საგანმანათლებლო პროგრამის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებს;

5.2. თითოეულ პროექტში სავალდებულოა სკოლის არანაკლებ 2 (ორი) სტუდენტის (პროექტის წარდგენისა და დაფინანსებაზე გადაწყვეტილების მიღებისას აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი) ჩართულობა;

5.3. სამეცნიერო - კვლევითი პროექტი ხორციელდება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლების ხელმძღვანელობით. პროექტის ხელმძღვანელის პოზიციის დაკავების უფლება აქვს უნივერსიტეტის აფილირებულ აკადემიურ პროფესორს;

5.4. სამეცნიერო - კვლევითი პროექტის მონაწილე შესაძლებელია იყოს უნივერსიტეტის აფილირებული, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ასევე ინსტიტუციის სტუდენტები და გარე ექსპერტები. პროექტში ჩართული გარე ექსპერტები, შეიძლება იყვნენ უცხოეთიდან მოწვეული პირები, ან საქართველოს სხვა უნივერსიტეტებიდან და კვლევითი ინსტიტუტებიდან მოწვეული სუბიექტები, როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორიდან;

5.5. სამეცნიერო - კვლევითი პროექტს ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც პასუხისმგებელია პროექტის მიმდინარეობაზე და ამასთანავე, სამეცნიერო კვლევითი ცენტრის წინაშე ანგარიშის წარდგენაზე. ერთი და იგივე აკადემიური პერსონალი და სტუდენტი არ შეიძლება მონაწილეობდეს ერთზე მეტი სკოლის მიერ დაფინანსებულ პროექტში.

მუხლი 6. კომისიის შემადგენლობა

6.1. მიზნობრივი სამეცნიერო - კვლევითი პროექტის მიმღები და საკონკურსო კომისიის შემადგენლობა მტკიცდება უნივერსიტეტის რექტორის სამართლებრივი აქტით;

6.2. მიზნობრივი სამეცნიერო - კვლევითი პროექტის საკონკურსო შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდეს მიზნობრივი სამეცნიერო - კვლევითი პროექტის მონაწილე - პირი. კომისიის პირველ სხდომაზე ხმათა უმრავლესობით აირჩევა კომისიის თავმჯდომარე და მდივანი;

6.3. მიზნობრივი სამეცნიერო - კვლევითი პროექტების განაცხადებას წარმოდგენილ თანდართულ დოკუმენტებთან ერთად იღებს და ამოწმებს სპეციალურად შექმნილი მიმღები კომისია;

6.4. მიზნობრივი სამეცნიერო - კვლევითი პროექტების მიმღები კომისია საბუთებს გადასცემს საკონკურსო კომისიას;

6.5. საკონკურსო კომისია სამართლიანი შეფასების საფუძველზე გამოავლენს გამარჯვებულ სამეცნიერო - კვლევით პროექტს და წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს;

6.6. საჭიროების შემთხვევაში საკონკურსო კომისია უფლებამოსილია საკონკურსო პროექტის შესაფასებლად მოიწვიოს სხვა უსდ - ის აკადემიური პერსონალი და ასევე სხვადასხვა პროფილის აკადემიური პერსონალი;

6.7. სხდომის დასრულების შემდეგ დგება სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 7. გადაწყვეტილების მიღების წესი

7.1. კომისია განიხილავს წარმოდგენილ სამეცნიერო - კვლევით პროექტებს და იღებს გადაწყვეტილებას მისი დაფინანსების შესახებ;

7.2. კომისია წარმოდგენილ სამეცნიერო - კვლევით პროექტებს აფასებს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: კვლევის აქტუალურობა და სიახლე, რამდენად მკაფიოდ არის აღწერილი პროექტის მიზნები, განსახორციელებელი ამოცანები, მოსალოდნელი შედეგები და მდგრადობა, რამდენად შეესაბამება პროექტში ჩართული პერსონალის პროფესიული განათლება და კვალიფიკაცია პროექტით დასახული კვლევის ეფექტიანად წარმართვას, რამდენად ოპტიმალურად არის პროექტში დაგეგმილი დროითი, ადამიანური რესურსების გამოყენება და სხვა კრიტერიუმები, რომელსაც კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს;

7.3. კომისიის სხდომა უფლებამოსილად ითვლება თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი;

7.4. გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრის გზით. ყოველ პროექტს კენჭი ეყრება ინდივიდუალურად და კომისიის თითოეული წევრი ხმას აძლევს თითოეულ პროექტს. გამარჯვებულად გამოცხადდება და დაფინანსდება ის პროექტი, რომელიც დააგროვებს ხმების უმრავლესობას არსებული ბიუჯეტის გათვალისწინებით;

7.5. კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება კვლევითი პროექტის ნაწილობრივ ან სრულად დაფინანსების შესახებ;

7.6. კომისია ვალდებულია საბუთების მიღების ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება;

7.7. კომისიის თავმჯდომარე სკოლის საბჭოს უახლოეს სხდომაზე წარუდგენს ანგარიშს კონკურსის მუშაობის შედეგების შესახებ, რომელიც მტკიცდება სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით.

მუხლი 8. პროექტის მონიტორინგი

8.1. დაფინანსებული სამეცნიერო - კვლევითი პროექტის მიმდინარეობასა და შედეგებზე მონიტორინგს ახორციელებს სამეცნიერო კვლევითი ცენტრი;

8.2. სამეცნიერო - კვლევითი პროექტის ხელმძღვანელი ვალდებულია მიზნობრივი სამეცნიერო - კვლევითი პროექტის დაფინანსების მიღებიდან 6 (ექვსი) თვის შემდეგ (შუალედური ფინანსური და პროგრამული ანგარიში) და პროექტის დასრულების შემდეგ (საბოლოო ფინანსური და პროგრამული ანგარიში) წარუდგინოს სამეცნიერო კვლევით ცენტრს, რომელიც თავის მხრივ საბოლოო ანგარიშსწორებისთვის პროექტს წარუდგენს ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურს.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

9.1. წინამდებარე დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის სენატი;

9.2. უნივერსიტეტის წინამდებარე დებულება მოქმედებს ხელმოწერისთანავე;

9.3. დებულების მიღება, გაუქმება, ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სენატის მიერ;

9.4. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.

განცხადება

მიზნობრივი სამეცნიერო კვლევითი პროექტის ფარგლებში განსახილველად წარმოგიდგენთ

ხელმძღვანელის გვარი, სახელი:

პროექტს სახელწოდებით:

საერთო ბიუჯეტით:

პროექტის დაწყება:

პროექტის დასრულება:

სამეცნიერო ჯგუფის წევრები (გვარი, სახელი)	როლი პროექტში	სამუშაო ადგილი, პოზიცია	ხელმოწერა
	სამეცნიერო ხელმძღვანელი		

თარიღი:

დანართი 2

უნივერსიტეტის სტუდენტის

თანხმობის წერილი

მე, _ _ _